ხაშური

Khashuri

ხაშური საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე ზღვის დონიდან 690 მეტრზე მდებარეობს. მისი ფართობი 585,2 კვ. კილომეტრია.

1801 წლიდან, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ, 1917 წლამდე ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1921 წლიდან საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ—ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ისევ გორის მაზრაშია, ხოლო 1930 წლიდან დამოუკიდებელ რაიონს წარმოადგენს. მას აღმოსავლეთით ესაზღრება ქარელის, დასავლეთით ხარაგაულის, ჩრდილოეთით საჩხერის, ხოლო სამხრეთით ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

ხაშურის მუნიციპალიტეტში არის ერთი საქალაქო (ხაშური), ერთი სადაბო (სურამი) და 11 სასოფლო თემი (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ სხვადასხვა სოფლები შედის. ამის მიხედვით არის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 81 სოფელი. ხაშურის რაიონის მოსახლეობა 70 ათასამდეა, მისი ძირითადი ნაწილი ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს.

ქალაქის ტიპის დასახლებას ხაშურში საფუძველი XIX საუკუნის 60—იან წლებიდან ჩაეყარა, რასაც ხელი შეუწყო საქართველოში რკინიგზის გაყვანამ. მთავარი სარკინიგზო ხაზი ფოთი — თბილისი — ხაშურზე გადიოდა. აქვე გაიხსნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები.

სურამი ცნობილი კურორტია, რომელიც შიდა ქართლის ჩრდილო დასავლეთით, ხაშურიდან 4 კილომეტრზე მდებარეობს. სურამში შესაძლებელია დაისვენოთ ტყე-პარკებში, ან გასინჯოთ სამკურნალო რკინის წყალი. სურამში, ცენტრალური გზის გასწვრივ შესაძლებელია ცხელი ნახუქების დაგემოვნება.

სურამში შესაძლებელია დაათვალიეროთ ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას მუზეუმი. ლესია უკრაინკა სურამში 1913 წელს გარდაიცვალა.

სურამი არსებული ისტორიული წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, პირველი საუკუნის გეოგრაფის სტრაბონის ცნობით, იგი აშენებულია 200 წელს ძვ.-წ.- აღრიცხვით. აქვე მდებარეობს ცნობილი სურამის ციხე, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოს გზასაყარზე მნიშვნელოვან სამაგრეს წარმოადგენდა. ლეგენდის მიხედვით, ახალგაზრდა ჭაბუკი, სახელად ზურაბი, ციხის მშენებლობას მსხვერპლად შეეწირა. ციხის ერთი კედელი მუდმივად სველია. თქმულების მიხედვით, ზურაბის დედა დღესაც გლოვობს თავის ვაჟს.

წრომის ტაძარი - აღრეული შუა საუკუნეების ტაძარი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში. ძეგლი აგებულია 626-635 წლებში (ერისმთავარ სტეფანოზ II დაკვეთით).

Khashuri is a town in Central Georgia. The town lies in central part of Georgia. The elevation of Khashuri ranges from 690 meters above sea level. The Khashuri municipality covers an area of 585,2km².

From 1801, after the Georgian kingdom of Kartl-Kakheti joined the Russian Empire, till 1917 territory of Khashuri Municipality belonged to the Tbilisi Governorate (Gubernia). From 1921 Khashuri belonged to Gori region. From 1930 Khashuri turned into independent district.

Khashuri Municipality is bounded to the east by Kareli Municipality, to the west by Khragauli Municipality, to the north by Sachkhere municipality and to the south Borjomi Municipality.

Khashuri Municipality includes 13 territorial units: one town (Khashuri); one borough (Surami) and 11 rural communities: (Ali,, Gomi, Osiauri, Flevi, Kvishkheti, Tsotskhnara, Tskhramukha, Tsagvli, Tsromi, Khalebi, Khtsisi). Rural communities include 81 different villages. Khashuri Municipality has about 70 000 inhabitants. Most of them live in town and borough.

Khashuri turned into the town in 60s of XIX century after construction railway line in Georgia. The main railway line Poti-Tbilisi passed through Khashuri. Central railway institutions were opened in Khashuri.

Surami is a popular climatic health-resort in the mountains situated in the Northwest of the Shida Kartli region, four kilometers from the town Khashuri. You can relax in some of the wooden parks, and try spring iron water. And make sure not to leave the village without testing the warm, sweet bread Nazuki which is offered along the ways. If you have some more time visit the museum dedicated to the Ukrainian female writer Lesya Ukrainka who died in Surami 1913.

According to the existing historical sources, Surami is one of the ancient cities. According to Strabon – the known geographer of 1th century, Surami was build in 200 B.C. Surami is dominated by the impressive ruins of the Surami fortress which used to guard the road from eastern to western Georgia. According to a folk tale a local nobleman sacrificed his only son Zurab to build the castle. The legend has it that a young man had to be bricked-up alive in the wall of the castle to build the castle. As some parts of the walls are always humid, it is said that Zurab's mother is still crying over her son.

Tsromi cathedral – Monument of early Middle Ages in Tsromi village. Cathedral was build in 626-635 by Stepanoz II.

სურამის კვირაცხოველის სახელობის ეკლესია XXს.
The Surami. Kviratskoveli Church (XXc.)



წრომის ტაძარი. (VIIს.)
The Tstomi Church (VIIc.)

იტრიის დედათა მონასტერი (XVI-XVII სს)
Nunnery in Itria (XVI-XVII c.)

სურამის ციხე

შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ქართლში

Surami Fortress

medieval fortress in Kartli

ხაშურის ცენტრალური პარკი
Khashuri Central parc

ლესია უკრაინკას მუზეუმი. (ხაშურის რ-ნი. სურამი)
The museum of Lesya Ukrainka (Khashuri Region, settlement Surami)

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
Museum of study of local lore in Khashuri

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი
House – Museum of Dimitri Kipiani

სურამის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი

Snt. Georges monastery of Surami (XVII-XVIII cc)

გამომცემლობა „ქართლი“
ტელ: 599 57-86-09